საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/262 „ 8 „ ოქტომბერი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის პ. სილაგაძისათვის მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს პარლამენტის 2018 წლის 21 სექტემბრის №3568-Iს დადგენილების საფუძველზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, მიმდინარე წლის 2 აგვისტოდან, უფლებამოსილებას ახორციელებს ორი მოსამართლე, რომელთაგან ერთ-ერთს - მოსამართლე პაატა სილაგაძეს უფლებამოსილების ვადა ეწურება 2018 წლის 23 ოქტომბერს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 4 ოქტომბრის №01/79 წერილიდან ირკვევა, რომ სისხლის სამართლის საქმეთა პალატის წარმოებაშია 466 საქმე, საიდანაც 218 საქმე წარმოებაში აქვს მოსამართლე პაატა სილაგაძეს და მისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ პალატის შემადგენლობაში მხოლოდ ერთი მოსამართლის დარჩენა მნიშვნელოვნად შეაფერხებს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრს, სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე პაატა სილაგაძეს 2018 წლის 24 ოქტომბრიდან გაუგრძელდეს მოსამართლის უფლებამოსილების ვადა მისი მონაწილეობით დაწყებულ საქმეებზე საბოლოო გადაწყვეტილებების გამოტანამდე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი